



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №11

27 თებერვალი 2019 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის
„ძლიერი სოფელი“ შექმნის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №06 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 35-ე მუხლის შესაბამისად,

1. მიღებულ იქნეს ცნობად თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ძლიერი სოფელი“ დაფუძნება და ფრაქციის თავმჯდომარედ ალექსანდრე კუპატაძის, ხოლო მოადგილედ ზურაბ ნაცარაშვილის არჩევა.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



არჩილი თხლაშიძე